მედიის ინსტრუმენტალიზაცია ანტიდასავლური განწყობების გასაღვივებლად, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის ანალიზის მაგალითზე, 2014-2025

ბორის საჯაია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები
(საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზარინა ბურკაძე,
პოლიტიკის მეცნიერების ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბორის საჯაია

13.01.2026

აბსტრაქტი

მოცემული კვლევა განიხილავს 2014-2025 წლებში მედიის ინსტრუმენტალიზაციას ანტიდასავლური განწყობების გასაღვივებლად, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის ანალიზის მაგალითზე. მისი მიზანია შეისწავლოს და გაანალიზოს, როგორ ქმნიან და ავრცელებენ მედია აქტორები ქვეყნის ევროპულ მისწრაფებებთან დაკავშირებითიმ ნარატივებს, რომლებიც საზოგადოებრივ აღქმებსა და პოლიტიკური დღისწესრიგის ფორმირებაზე გავლენას ახდენენ. კვლევის ძირითადი კითხვაა, თუ როგორ ხდება მედიის ინსტრუმენტალიზაცია ანტიდასავლური განწყობების გასაღვივებლად? აღნიშნულ საკვლევ კითხვაზე პასუხის გაცემა მოხდება საქართველოს შემთხვევის შესწავლით 2014 წლიდან 2025 წლის პერიოდში. კვლევის მთავარი ჰიპოთეზა შემდეგნაირად ფორმულირდა: მედიის მიზანმიმართული ინტრუმენტალიზაცია ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია ანტიდასავლური განწყობების გასაღვივებლად, რაც ევროკავშირის მიმართ საზოგადოებრივ განწყობებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ჰიპოთეზის გადამოწმება ეფუძნება თვისობრივ კონტენტ ანალიზს 36 მედია პროდუქტზე, ნახევრად - სტრუქტურირებულ ინტერვიუები ექსპერტებთან და Case Study ინდგომას საქართველოს კონტექსტში. თეორიული ჩარჩო ეფუძნება მედიისა და პოლიტიკური ურთიერთქმედების იმ ანალიტიკურ მიდგომებს, რომლებიც მედიის როლს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და პოლიტიკური მნიშვნელობების კონსტუირების პროცესში ჩართულ აქტიურ სივრცედ განიხილავენ. თეორიული ანალიზი კი გამოკვეთს, თუ როგორ ხდება კონკრეტული ნარატივების გაძლიერება მედიის მეშვეობით და როგორ აისახება ეს პროცესი საგარეო პოლიტიკური არჩევანის მიმართ საზოგადოებრივ განწყობებზე.

საკვანძო სიტყვები: მედიის ინსტრუმენტალიზაცია, ანტიდასავლური ნარატივები, ევროკავშირში ინტეგრაცია, იდენტობა, ღირებულებები.

Abstract

This study examines the instrumentalization of the media for fostering anti-Western sentiments in Georgia during the period from 2014 to 2025, using the country's European Union integration process as a case study. Its aim is to explore and analyze how media actors construct and disseminate narratives concerning Georgia's European aspirations—narratives that influence public perceptions and shape the political agenda. The main research question asks: How is the media instrumentalized to promote anti-Western attitudes? To answer this question, the study focuses on the Georgian case within the 2014–2025 timeframe. The central hypothesis is formulated as follows: the deliberate instrumentalization of the media constitutes one of the key mechanisms for inciting anti-Western sentiments, which significantly affects public attitudes toward the European Union. The hypothesis is tested through qualitative content analysis of 36 media products, semi-structured interviews with experts, and a case study approach applied to the Georgian context. The theoretical framework draws on analytical approaches to media–politics interaction, which conceptualize the media as an active arena engaged in shaping public opinion and constructing political meanings. The theoretical analysis highlights how specific narratives are amplified through media channels and how this process influences public perceptions regarding Georgia's foreign policy orientation.

Keywords: Media instrumentalization, anti-Western narratives, EU integration, identity, values.